F335/2 № 13849

წლიწადი მეორე

Deuxième année.

ახალი საქართველო

«ახალი თაობა ვქმნით ხიდებს, ხარბიელს, საქმეს.
და ჩვენ გვინდა ვქნათ ის, რაც არ ქნა, ან ვერ ქნა ძველებმა — შეგნება და შეთვისება მისი, რაც მოხდა»...

ნ. მიწიშვილი.

(„ახალი საქართველო“ № 1)

PARIS
10 Mai 1926
N° 24

Bi-mensuel Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE " — Directeur-Éditeur : G. Veshapely.
ორკვირეული ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

პარიზი
10 მაისი 1926 წელი
ფასი 20 კაპ

3, Impasse Crozatier, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Pour l'Étranger. Un an. .. .. 100 francs Abonnement : 20 frs pour 6 mois | Prix du Numéro : Étranger 10 cents américains, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის შეტყობინება.

შინაარსი:

უცხოეთში
- მთავარი: საერთაშორისო მიმოხილვა (რუქით).
- პრესა: ამერიკელი ბიძია.
- გრ. ვეშაპელი: სალიტერატურო ენა.
- შრიფტის რეფორმაზე (ნახატით).
- პრაღის კოლონიაში (სურათით).
- კარიკატურა.

საქართველოში
- ინდუსტრია საქართველოში (შალვა ელიავასი).
- ფელეტონი —«თებერვალი» (ნ. მიწიშვილის).
- ლექსი — 1 მაისი (პ. იაშვილის)
- ქრონიკა
- ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება.
- გადასახლების საქმე.
- წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთი «ახალი საქართველო» იყიდება:

(Journal " La Géorgie Nouvelle ")

საფრანგეთში

პარიზის წიგნის მაღაზიებში:
" *Moskwa* ", 9, rue Dupuytren, *Paris* (VIe).
" *Pavolotzki* ", 13, rue Bonaparte, *Paris* (VIe).
" *Hachette* " (Section russe), 111, rue Réaumur, *Paris* (IIe).

გაზეთის კიოსკებში:
3, place Saint-Michel, *Paris* (VIe).
71, boulevard Montparnasse, *Paris* (VIe).

„მეტრო“-ს სადგურებში:
Champs-Élysées, Porte de Vincennes, Bastille, Étoile, Châtelet, Pigalle, Clichy, République, Opéra, Saint-Michel, Odéon, Porte d'Orléans, Trocadéro, Passy, Italie, Pasteur, Porte d'Auteuil, Concorde, Saint-Cloud, rue du Bac (Nord-Sud).

პარიზის რკინის გზის სადგურებში:
Lyon, Montparnasse, Saint-Lazare, Nord, Est.

„ტრამვაი“-ს სადგურებში:
Arpajon, Saint-Denis.

პროვინციის სადგურებში:
Marseille, Audincourt.

ინგლისში

ლონდონი
Library " *Kniga* ", St Brides House, Salisbury Square. *London* (E. C. 4).

გერმანიაში

ბერლინი
Buchhandlung " *Moskwa* ", Nettelbeck Strasse, 15, *Berlin* (W. I.).

ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა
Librairie " *Plamia* ", Jècna, 32, *Praha*.

პოლონეთში

ვარშავა
" *Hoesik* ", Senatorska, 22, *Varsovie.*

ავსტრიაში

ვენა:
Librairie " *Perski* ", Mechitaristen Gasse, 4, Wien.

გაზეთი
„ახალი საქართველო“
გრ. ვეშაპელის რედაქციით
გამოდის პარიზში ორკვირეულად

იყიდება: თბილისში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ფოთში, სენაკში, აბაშაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათომში, ჭიათურაში, ხაშურში, თელავში, სიღნაღში, სოხუმში.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიაში აკაკი შვახარშაძესთან. ტფილისი, რუსთველის პროსპ. № 22.

«ახალი ქართული საზოგადოების» წევრად ჩასაწერად საჭიროა წერილობითი განცხადება მდივნის სახელზე შემდეგი მისამართით:

Mlle V. Vachadzé, 44, rue de l'Annonciation, Paris (XVIe)

„ა. ქ. საზოგადოებამ“ მოაწყო წევრთათვის ბიბლიოთეკა.

მსურველთ უნდა მიმართონ მდივანს შაბათობით 3-5 საათამდის.

საერთაშორისო მიმოხილვა

I. გერმანია-საბჭოთა პაქტი.

«ახალი საქართველოს» № 18 (წრეულ იანვარში) ასე აფასებდა იმ იმედებს, რომელიც გაუღვიძა ქართულ ემიგრაციას ლოკარნოს პაქტმა:

«ეს იმედები ფანტაზია არის.

ახალ გერმანიას თავისი საკუთარი მიზანი აქვს: დაკარგული ტერიტორიის და კოლონიების მიღება.

ამისთვის დღეს გერმანიას ომი არ შეუძლია.

ამიტომ იგი ცდილობს მორიგებით აღადგინოს სწორწონადობა თავის მეზობლებთან (მაგალითად საფრანგეთთან), თანდათან მეტი დაათმობინოს და თანდათან ფეხი მოიმაგროს უკეთესი მომავლის მოლოდინში.

მაგრამ ამისთვის, რასაკვირველია, გერმანია უარეს ომს და უარეს რისკს არასოდეს არ გაწევს და ინგლისისათვის შემწვარი წაბლის გამოღებას ბოლშევიკური ცეცხლიდან არ დაიწყებს.

ახალ გერმანიას კარგათ ახსოვს, თუ რა დაუჯდა ძველ გერმანიას ბისმარკის ანდერძის დარღვევა და რუსეთთან დატაკება»...

გავიდა ოთხი თვე და ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ გამოირკვა ლოკარნოს პოლიტიკის გაკოტრება და გერმანიის ნამდვილი ორიენტაცია...

17 მარტს ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს პლენუმი ისე დაიშალა, რომ ლიგის აღმასრულებელ ორგანოს გაფართოების საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამის გამო გადაიდო ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი და ამგვარად გამოირკვა, რომ ლოკარნოს «ხული» ისე დაილია რომ ოთხი თვეც ვერ გაძლო (1 დეკემბრიდან).

24 აპრილს კი ბერლინის ტრაქტატით გერმანიამ მთელ ქვეყანას აცნობა, რომ იგი საბჭოთა კავშირთან 1926 წელშიც იმავე პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც 1922 წელს ჩამოყალიბდა საბჭოთა რუსეთის და გერმანიის ხელშეკრულებით, რაპალოში.

ბერლინის ახალი ტრაქტატის შესავალში შტრეზემანი პირდაპირ აღიარებს, რომ გერმანიის ინტერესი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მუდმივ თანამშრომლობას!

ამ გვარად დასრულდა კიდევ ერთი ემიგრანტული სიზმარი და გამოირკვა, რომ როგორც სამხრეთით (ოსმალეთი) ისე დასავლეთით (გერმანია) საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილია ინტერვენციიდან, ომში და ზავში დასახელებულ სახელმწიფოთა ორიენტაციით.

II. ინგლისის გაფიცვა

მაგრამ ის, რაც ინგლისში ხდება, სიზმარის გაქრობაზე მეტია ემიგრაციისათვის, ეს პირდაპირ კოშმარია;

ქართული ემიგრაციის პოლიტიკოსები, როგორც მეორე ინტერნაციონალის ხასები: ჟორდანია-წერეთელი, ისე ფაშიზმის «უტ.» მოციქულები, —ყოველთვის უმთავრეს ანტიბოლშევიკურ იმედს ინგლისზე ამყარებდენ. აწ უკვე დახურულ ჟურნალ «სამშობლოს» რედაქტორი ს. კედია ასეთ სიზმრებში იყო: «ხეირი არ დაეყრება იმ მთავრობას და ქვეყანას, რომლისთვისაც ინგლისი მოიცლის... საბჭოთა კავშირის რეალ საფრთხესაც მარტო ინგლისი შექმნისო» (№ 5, შარშან ივლისში).

წელიწადი არ გასულა და ვაი იმათ, ვინც ინგლისის ხეირს ელოდა სამშობლოსათვის (ფრჩხილებში)...

ინგლისში, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ხუთ მილიონ ტრედ-უნიონის წევრთ ეხება; ამ გაფიცვამ რომ გაიმარჯვოს, ეს ნამდვილი პოლიტიკური რევოლუცია იქნება და პროლეტარიატის ნამდვილ დიკტატურას მოასწავებს; გაფიცვა კი რომ დამარცხდეს, ეკონომიურად ინგლისის პროდუქციას ეს ამბავი ყოველდღე ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება, ხოლო პოლიტიკურად დამარცხება ისე გააბრაზებს და გაამარცხენებს ინგლისის პროლეტარიატს, რომლის დიდი ნაწილი (მილიონ ნახევარი) მუდამ უმუშევარია, რომ ფანტაზია აღარ იქნება ინგლისისა და ძველი რომის შედარება.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გათავდეს ეს გრანდიოზული გაფიცვა, —ინგლისის იმპერია საგარეო პოლიტიკაშიც დეკადანსისკენ იხრება; არა თუ ახალ იმპერიალისტურ გეგმებს, ინგლისი დიდის ხნით ვეღარ შეძლებს თვით ერთა ლიგის აპარატშიც ისეთი აქტიური როლის თამაშს, როგორც დღემდის იყო... ფრანგული ნაციონალისტური პრესა პირდაპირ კითხვას აყენებს: რაღა რეალური ფასი ექნება ამ გაფიცვის შემდეგ იმ გარანტიას, რომელიც ინგლისმა მისცა გერმანიის მიმართოდ

ვინ იცის, იქნება საფრანგეთმა უფრო რეალური გარანტიის ძებნა ახალ რუსეთში, ესე იგი, საბჭოთა კავშირში დაიწყოს?



ევროპის ძალთა რეალური განწყობილება

პრესის მიმოხილვა

«დამოუკიდებელი საქართველოს» ამერიკელი ბიძია

თუ ევროპიული სიზმრები, როგორც კონტინენტისა, ისე ზღვის, ასე ულმერთოთ თავდება, რა უშლის ემიგრაციის ლიდერებს, რომ ხსნა ევროპის გარედ ეძიონ? ევროპის გარდა ხომ კიდევ ოთხი ნაწილია დედამიწაზე: არის ამერიკა, არის აფრიკა, არის აზია, არის ავსტრალიაც... ჯერ-ჯერობით ქართული ემიგრაციის ახალი «უკლონი» ამერიკისკენ არის მიმართული.

ამერიკაში, ესე იგი შეერთებულ შტატებში, ქართულ ემიგრანტულ საქმეს კვაჭი კვაჭანტირაძე, უკაცრავად დ. დუმბაძე აწყობს.

ჯერ-ჯერობით მოქალაქე დუმბაძემ ერთი საქმე გააწყო: ამერიკის შ. შტატების სენატის წევრს კოპლენდს ა. წ. 11 მარტს, წინადადება შეუტანია საგარეო საქმეთა კომისიაში —«პარიზში გადმოხვეწილ საქ. დემ. რესპ. მთავრობასთან წარმომადგენლის დასანიშნავათ გაღებულ იქნას თანხა, ხოლო... თვით წარმომადგენელი მაშინ დაინიშნოს, როცა ამერიკის პრეზიდენტი ამას მიზანშეწონილად დაინახავსო»... გაზეთი «დამოუკიდებელი საქართველო» (№ 4) დიდის ამბით ამცნობს ამ ამბავს თავის მკითხველთ, ხოლო მენშევიკების ნუგეშისმცემელნი დაძრწიან პარიზის ემიგრანტებში და ქადაგებენ: «დაგვაცადეთ, პატიოსნებო, ცოტა კიდევ და ამერიკა გვიშველისო».

რასაკვირველია, ასეთი ნუგეში მენშევიკებს ხშირად დღეს სჭირდებათ, რომ წინანდელი, უკვე გაცუნებული ნუგეში გამოცვალონ: აქამდის ერთა ლიგის პერსპექტივით აყრუებდენ ბრევლს, ეხლა როცა ლიგის კომბინაცია გაკოტრდა, —ამერიკის ილუზიას აღვივებენ... გაივლის ორი სამი თვე, კიდევ ახალ რამეს გამოიგონებენ. რა ენანებათ, თავნზე რა დააკლდებათ?

თორემ გარდა სრულებით გამოჩერჩეტებულ ხალხისა ვის არ მოუვა თავში ლოღიკური კითხვა: თუ ამერიკას მენშევიკური საქართველოს გაბედნიერება უნდოდა, რატომ მაშინ არ იცნო, როცა ჟორდანია თბილისის სასახლეში იჯდა? მაშინ ხომ ამერიკამ (კოლბის ნოტა) კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ძველი რუსეთის იმპერიის მთლად დაქუცმაცებისა და რომ კერძოდ ამიტომ კავკასიის რესპუბლიკებს ვერ იცნობს.

მას აქეთ რა მოხდა გარდა იმისა, რომ ჟორდანია უკვე მეხუთე წელიწადია, რაც პარიზშია გამოქცეული და საფრანგეთის კურორტებზე სულს ითქვამს?

ნუ თუ ამისთვის უნდა იცნოს მენშევიკური «მთავრობა» ამერიკამ?

მთელი ეს ისტორია ამერიკელ ბიძის მემკვიდრეობას წააგავს, და ისეთი ბედოვლათი პოლიტიკოსიც, როგორიც გიორგი ბჟანიჩ გვაზავა არის, არ დაიჯერებდა მას, რომ აქ დუმბაძის რაიმე ახალი კომბინაციის მცირეოდენი პროცენტების სუნი არ იდგეს...

საინტერესოა, რომ თვით ამერიკანელი პრესა არავითარ ყურადღებას არ აქცევს სენატორ კოპლენდის ფანტასტიურ წინადადებებს, სამაგიეროდ იგი თითქმის ყოველდღე აღნიშნავს იმ საქმიანობას, რომელსაც ეწევა საქართველოს მარგანეცის კონცესიის მეთაური არიმანი, რომელიც გარდა შავი ქვის საექსპორტო ოპერაციებისა, როგორც სჩანს, ხელს უწყობს საზოგადოთ საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში ექსპორტის კრედიტის გარანტიას.

◆

ქართული სალიტერატურო

ენის შესახებ

(მამია ორახელაშვილის განცხადების გამო)

გაზეთ «კომუნისტ»-ში (№ 68) დაბეჭდილია საყურადღებო განცხადება საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის («სახელგამის») სარედაკციო კოლეგიის თავჯდომარის მამია ორახელაშვილის, —სათაურით «გამარტივება თუ გართულება».

ავტორი აღნიშნავს იმ არანორმალობას, რომ ძველი უსარგებლო ასოები, გაგდებული ჯერ კიდევ მესამოციან წელთა ლიტერატურის მიერ (მოკლე «ი», ყრუ «უ» და სხვ.), —კვლავ შემოაქვთ ხმარებაში დღევანდელ მწერლებს, თვით სახელგამის გამოცემებშიც კი.

მ. ორახელაშვილი მოითხოვს სახალხო განათლების კომისარიატის გარდაწყვეტილებას, რომ შემდეგში შეუძლებელი გახდეს ეხლორია ქმნილი ასოთა რესტავრაცია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, რომ ეს საკითხი უდისკუსიო არის.

მაგრამ, სენის ნაპირებიდან შორეულ მაყურებელთ ქართული კულტურის წინსვლისა, გვინდა ვისარგებლოთ ამ

ქართული შრიფტის რეფორმის გამო

ჩვენი გაზეთის მე-22 ნომერში მოთავსებული იყო ახალი ეკონომიური შრიფტის ნიმუში, მიღებული განათლების კომისარიატის მიერ. ვინაიდან ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ რედაკცია ფიქრობს, რომ არ იქნება ზედმეტი, აღინიშნოს ახალი შრიფტის სხვა ნიმუშები.

მხატვარ დავით კაკაბაძის წიგნში, რომელიც გამოცემულია პარიზში 1924 წ., ნაჩვენი არის შრიფტის ახალი ნიმუშები, მის მიერ შემუშავებული, რომელიც განსხვავდება მოხაზულობით დ. შევარდნაძის პროექტისაგან.

პასუხად ჩვენი რედაკციის შეკითხვისა ამ საგანზე, დ. კაკაბაძემ განაცხადა რომ მისი აზრით ზოგიერთ ასოების რეფორმა საჭიროა მოხდეს არა მარტო მატერიალური ეკონომიის მიხედვით, როგორიცაა განათლების კომისარიატის მიღებული ნიმუში, არამედ ესთეტიური ეკონომიაც უნდა იქნეს დაცული, რათა ყოველი ასო საზოგადოთ ანბანის მოხაზულობას არ არღვევდეს, ადვილი შესამჩნევი იყოს თვალისათვის და ზედმეტი ხაზები არ უშლიდეს მის მკაფიოდ გამოხატულებას.

აქვე მოგვყავს დ. კაკაბაძის ნიმუშები და შესადარებლად განათლების კომისარიატის მიერ მიღებული პროექტი.

სხვათა შორის, დ. კაკაბაძის აზრით, ახალი ქართული შრიფტი ისე უნდა იქნეს გაკეთებული, რომ მოხაზულობა არ იყოს ყველგან ერთნაირი სისქისი, არამედ ზოგან თხელი და ზოგან სქელი, ისე როგორიცაა დღეს ყველა ევროპიული შრიფტები. (რედაკცია აღნიშნავს, რომ ასეთია პარიზის შრიფტი, რომლითაც იწყობა «ახალი საქართველო». სტამბოლის (შემცირებული ბერლინის) შრიფტი კი, რომლითაც იწყობა «ბრძოლა» და «დამოუკიდებელი საქართველო» ყველა ხაზებში ერთნაირი სისქისი არის.

ამიტომ ამ გამოცემებს ნაკლი აქვთ არა მარტო სოციალური, არამედ თვალთიგიენის მხრივადაც



პირველი სტრიქონი — კლასიკური შრიფტია·
მეორე — დავით კაკაბაძის პროექტი.
მესამე — დ. შევარდნაძის.

შემთხვევით და შევეხოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთ სხვა საკითხსაც.

თუ მკითხველთა მასის, ისევე როგორც მწერალთა ინტერესი, მოითხოვს სალიტერატურო ენის შეუწყვეტელ გამარტივებას, — მაშინ რატომ უნდა შევჩერდეთ იმ პოზიციებზე, რომელზედაც ქართული ენა დააყენა ამ მხრივ უკვე ილია ჭავჭავაძემ ნახევარი საუკუნის წინ?

ამიტომ დისკუსიის ღირსი მაინც არის ზოგიერთი საკითხი დაკავშირებული როგორც თანამედროვე ქართულის ორთოგრაფიასთან, ისე მის ტერმინოლოგიასთან.

როგორც ფილოლოგადაც ნამყოფი, გავბედავ და ვიტყვი რომ დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენაც (ის ენა მაგალითად, რომლითაც ასწორებენ აწყობილ გაზეთსა და წიგნს «ნაფიცი» კორექტორები) აღარ არის იდეალური დღევანდელი თვალსაზრისით.

ეს თვალსაზრისი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: სალიტერატურო ენა რაც შეიძლება უნდა უახლოვდებოდეს ცოცხალ ენას: ლიტერატორი უნდა სწერდეს ისე, როგორც ლაპარაკობს ხალხი; ლიტერატურა არ უნდა დაემსგავსოს აფთიაქს, სადაც რეცეპტს ლათინურად იმიტომ სწერენ, — რომ უბრალო მუშტარმა თავისი წამალი თვითონ ვერ გამოიწეროს.

საბედნიეროდ, ამ მხრივ ქართული ენა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ფრანგული ან ინგლისური (მრავალია ისეთი უცხოელი, მაგალითად, რომ ინგლისურს თარგმნის, მაგრამ ვერ კითხულობს). ქართული: ცოცხალი ენით ნათქვამი და სალიტერატურო ენით დაწერილი, თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ეს თითქმის დღეს მაინც საგრძნობი ხდება; ამიტომ დაწერილ ქართულს სჭირდება რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმა, ცოცხალ ქართულ სიტყვას რომ დაეწიოს! თორემ, აბა ერთი მითხარით, რომელი ქართველი, თუნდაც ეგრედ წოდებული «ინტელიგენტი», ლაპარაკობს დღეს პ. მირიანაშვილის კლასიკური გრამატიკული კანონების მიხედვით?

შეიძლება ზოგიერთმა სთქვას, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი ქართული ენა არის ქართლური გამოთქმა, რომლითაც სწერდნენ ჩვენი კლასიკოსები, ხოლო ცოცხალი ენა კი, რომელიც ჩვენ დღეს გვესმის, უმეტეს შემთხვევაში იმერული დიალექტი არის! — მერე რა — მით უკეთესი! სრულიად საქართველოს მატერიალური კულტურის ხერხემალი დღეს ის რკინის გზა არის, რომელიც სურამის ტუნელით აერთებს იმერეთს და ქართლს; და თუ ამ «კულტურულ მატარებელში», რომელიც ბათუმიდან თბილისამდე დადის, — იმერული ლექსიკონი სჭარბობს, — სჩანს იგი ყოფილა დღეს დამახასიათებელი საქართველოს პროვინციათა შემოქმედებით ჭიდილში! (ამ ენას უახლოვდება თანამედროვე პროზაში ნ. მიწიშვილის «თებერვალი».)

ამხელა წინასიტყვაობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვსურია ქმნილ ასოთა რიგს მივუმატოთ უკანასკნელი, მეოცდამეცამეტე ასო ქართული ალფაბეტისა «ჰ».

მართლაც, როდის გამოითქმის ეს ბგერა ისე ხშირად, როგორც მას სწერენ? მაგალითად, დღევანდელ გაზეთებსა და წიგნებში ბეჭდენ: «დაჰპირდა», ჰქრება», «დაჰკიდა», «შეჰმატა», «ჰყავს», «გადაჰხედა», «ჰგრიალებს», «ჰკითხე», «მოჰკლა» და სხვ... ნამდვილათ კი, ლაპარაკის დროს ეს ბგერა «ჰ» არ ისმის!

თუ მხედველობაში მივიღებთ დროსა და სივრცის დაზოგვის პრინციპს, რომლისთვისაც დღეს საქართველოს განათლების კომისარიატი რადიკალურათ ცვლის, მხატვარ დ. შევარდნაძის გეგმით, ქართულ ალფაბეტსა და შრიფტის არაეკონომიურ ასოებს: «ღ», «ლ», «თ» და სხვ., — მაშინ «ჰ»-ს ოპერაციაც მიზანშეწონილი ხდება. (ახალმა რუსეთმა ორთოგრაფიის რეფორმისათვის გასწირა არა მარტო «ъ» და «i», არამედ კლასიკური «იატ»-იც გააუქმა, მიუხედავათ იმისა, რომ «ѣ» ლინგვისტიურათ განირჩევა უბრალო «e»-დან... ადერბეიჯანმა კი ეკონომიისათვის მთელი თათრული ალფაბეტი ლათინურს ანაცვალა).

შეიძლება სთქვან, რომ «ჰ» შნოს აძლევს ენას, მაგრამ შნო და სილამაზე ყოველთვის შედარებითი ცნება იყო და არის...

საინტერესოა, რომ როცა ვინმე «ჰ»-ს აუცილებლობის მტკიცებას დაიწყებს, მაშინვე სიტყვა «ჰაერს» დაიმოწმებს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს სიტყვა ბერძნული «aër»-ია, რომელშიც ასო „ჰ“ სრულებით არ მოიპოვება. ამიტომაა, რომ ფრანგები, ისე როგორც ინგლისელები, სიტყვა აერს და მისგან წარმომდინარე ყველა ტერმინს ისე სწერენ, რომ „ჰ“-ს არ ხმარობენ, თუმცა ეს ასო ანბანში მოეპოვებათ (მაგალითად, «აერონავტიკა, აეროპლანი, ავიაცია» და სხვ.) სხვათა შორის, რუსულში, სადაც «ჰ» სულ არ არის, რევოლუციამდის ჰ-იან გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ტერმინებს ხან «х»-თი სწერდენ და ხან კიდევ «г»-თი. ეხლა კი არც ერთს არ ხმარობენ. (მაგალითად, ფრანგულ სახელს **Hachette** დღეს რუსულად აღარ სწერენ არც гашет და არც хашэт, არამედ პირდაპირ ашет). აღსანიშნავია, რომ მხატვარი დ. კაკაბაძე თავის პარიზელ მონოგრაფიაში ერიდება ასო «ჰ»-ს ჩვეულებრივ ხმარებას.

შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია დაუყენოთ თანამედროვე ქართულ ორთოგრაფიას, — ეს არის უცხო სიტყვების ბეჭდვა ზოგიერთი ბგერის ქართული თანხმოვანით (უმეტესად «ქ») შეცვლით; მაგალითად, ჩვენში სწერენ: რედაქცია, არქიტექტურა, აქტიური, პროდუქცია, კორექტურა, ეფექტი, ლექსიკონი, ფსიქოლოგია და სხვა... რისთვისაა საჭირო აღმოსავლეთური, სპარსული დარბილება ასეთი სიტყვებისა, როცა ყველა ენებში, საიდანაც ეს სიტყვები ნასესხებია, ისმის მაგარი «კ», ან «ხ»; თუ ლათინურად «რედაკცია» იწერება და თუ ფრანგები და გერმანელები ამ სიტყვას «კ»-თი გამოთქვამენ, — რატომ არ შეგვიძლია ჩვენ, ქართველებს, რომელთაც მრავალი მაგარბგერიანი სიტყვა მოეპოვება, ასევე ვთქვათ? (სხვათა შორის, ჩვენი ტრანსკრიპცია ამ ტერმინისა მიიღო თავისი ხანმოკლე არსებობის დროს ს. კედიას «სამშობლო»-მაც). ასევე ითქმის ბერძნულ სიტყვა «ფსიხოლოგია»-ზე. ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა ჩვენში უსამართლოდ იცვლება უცხო სიტყვების «ტ» — «თ»-ზე, «პ» — «ფ»-ზე და სხვა).

საზოგადოთ ამ მხრივ შემდეგი კანონია სავალდებულო:

უცხო სიტყვა ქართულად ისე უნდა ვწეროთ, როგორც ის გამოითქმის ხოლმე იმ ენაში, საიდანაც ნასესხებია.

დაბოლოს, უკანასკნელი საკითხი ეხება ტერმინოლოგიას; როგორც ს. თოდრიამ აღნიშნა საკავშირო ცაკის უკანასკნელ სესიაზე (მოსკოვში), ჩვენი ინტელიგენცია რუსიფიკაციასთან საბრძოლველად «ცდილობს გამოჩხრიკოს ისტორიული არხივიდან ისეთი სიტყვები, რომლებიც თვით ჩვენ, ქართველებმა დიდი ხანია დავივიწყეთ»... ჩვენი აზრით უბედურება იმაში კი არ არის, რომ ინტელიგენცია არხაიკულ სიტყვებს ასაღებს, არამედ იმაში, რომ თვით ეს არხაიკული სიტყვები უმეტესად ქართული კი არა სპარსულია, არაბული ან თურქული... ქართული ენის ნაციონალიზაციისათვის მარტო ის კი არ კმარა, რომ რუსულ ლექსიკონს ვერიდოთ; საჭიროა აგრეთვე საბა სულხან ორბელიანის სიყვარულით მაინც გავცხრილოთ სპარსეთ-არაბეთ-ოსმალეთის გეგემონიისაგან ნამკვიდრევი ტერმინები!

ამ მხრივ ქართული ეროვნული ტერმინოლოგიისათვის უფრო მისაღებია ის ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საერთაშორისო ტერმინოლოგიას... ამ თვალსაზრისით სრულებით ზედმეტია გაქართულება ისეთი ინტერნაციონალური სიტყვების როგორიცაა «ელექტრონი», «ტელეფონი», «ტელეგრამა» და სხვა.

აი ჯერ-ჯერობით ის, რისი თქმაც საჭიროდ მიგვაჩნია რომ ქართველი მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანს; თუ ამ ყურადღებამ საკამათოდ გახადა საქმე, — მით უკეთესი: მაშინ მეტის თქმაც შეიძლება.

ყოველ შემთხვევაში გაზეთი «ახალი საქართველო» საჭიროდ არ თვლის თბილისის ძველი ქართული «კლასიკური» კორექტურის ყველა ტრადიციას მისდიოს.

გრიგოლ ვეშაპელი

პრაღის კოლონიაში

პრაღის საბჭოთა საქართველოს ახალშენის ცხოვრებიდან

(კორესპონდენცია)

12 აპრილს, საღამოს ექვს საათზე, ოტელ «ბერანეკის» დარბაზში, მიუხედავათ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, პრაღის საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებამ შესძლო მოეწყო საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავის საჯაროდ აღნიშვნა და გამართა აკადემიური ხასიათის საღამო—დღესასწაული.

საღამოს პროგრამა შემდეგი იყო: 1) შესავალი სიტყვა ამხ. ა. ხაბურზანიასი, 2) «საბჭოთა საქართველოს ხუთი წლის არსებობა და მიღწევები» — მომხ. ი. გაბუნია 3) «ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაციის შთაბეჭდილებანი და აზრი საბჭ. საქართ. შესახებ» — მომხ. ამხ. ე. გვილავა.

სტუმრებს შორის იყო საქართველოში მარშან ნამყოფი ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაციის ერთ-ერთი წევრთაგანი ამხ. კოპეცკი (რესპუბლიკის მბეჭდავთა კავშირის გამგეობის თავჯდომარე, უპარტიო, ეროვნებით ჩეხი).

დღესასწაულის გახსნისას 25 კაცისაგან შემდგარმა ინტერნაციონალურ ხორომ, ქართულ ენაზე შეასრულა სახელმწიფო იმნი «ინტერნაციონალი».

პრაღის საბჭოთა საქართველოს ახალშენის წევრმა მომღერალმა ამხ. რ. მომცემლიძემ—მეუღლით კლარა ვოდაკოვა მომცემლიძისამ, იმღერეს ქართული რომანსები ამ დღეებში გამართულ ს. ს. ს. რ. ის მოქალაქე სტუდენტების საღამოზე და აგრეთვე უკრაინის საბჭოთა რესპ. მოქ. სტუდენტთა საღამოზედაც.

ა. წ. 9 თებერვალს, ქ. პრაღაში დაარსდა ამიერ-კავკასიის სტუდენტთა კავშირი. ამორჩეულია გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. ხაბურზანია, მაკარიანი და ე. გვილავა.

საბჭოთა საქართველოს ახალშენში წაკითხულ იქმნა ამას წინეთ ორი მოხსენება: 1) საბჭოთა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა პოლიტიკურის და ეკონომიური თვალსაზრისით» — მომხ. ი. გაბუნია. 2) «აღმოსავლეთის ერებს შორის დაწყებული მუშათა და ეროვნული მოძრაობა და ოკტომბრის რევოლუცია» მომხ. ე. გვილავა.

უახლოეს ხანში აქედან სამშობლოში გაემგზავრებიან ამხ. მ. ილურიძე და რ. მომცემლიძე.

ქ. პრაღა დასტოვეს ხუთმა ემიგრანტმა. ამ გასულ თვეში დარჩენილებში ბევრი ათავებს უმაღლეს სწავლას. მათში ზოგიერთი სადად მოაზროვნე პირები მიემურებიან საყვარელ სამშობლოსაკენ.

ინდუსტრია საქართველოში

მთავრობის თავმჯდომარის შალვა ელიავას მოხსენებიდან

გადავდივარ ჩვენი სახელწიფო მრეწველობის საკითხზე. თქვენ იცით რომ სახელმწიფო მრეწველობა ჩვენთვის ეხლა, არსებულ მდგომარეობაში მეტად რთული საგანია. თქვენ იცით, რომ პარტიულ ყრილობაზე იყო დავა იმის შესახებ, თუ რა არის სახელმწიფო მრეწველობა. სახელმწიფო მრეწველობა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, თუ სოციალისტური მრეწველობა. ჩვენ მივდივართ კერძო კაპიტალიზმისაკენ, კერძო სამეურნეო ინიციატივის პატრონობისაკენ, თუ სოციალიზმისაკენ? როგორც იცით ასეთ დავას ადგილი ქონდა პარტიულ ყრილობაზე. ამ საკითხზე მსჯელობს მთელი ჩვენი ემიგრაცია და მთელი ბურჟუაზიული ევროპა. ისინი ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად უნდა წავიდეს კაპიტალიზმის განვითარების გზით. ემიგრაცია ამაზე აფუძნებს მთელს თავის იმედს. ჩვენი მტრები ამბობენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ უნდა გამოიწვიოს იმ პოლიტიკური ზედნაშენის დამხობა, რომელიც იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. შეუძლებელია, ამბობენ ისინი, მეურნეობის კაპიტალისტური ფორმის და პროლეტარიატის დიქტატურის თანაცხოვრება. მთელი ჩვენი საბჭოთა მრეწველობა—ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობისაა და იმის გამორკვევას, თუ საით მიდის და როგორ ხასიათს ატარებს ის, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი პარტია სთვლის, რომ ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა, ის, რომელსაც ჩვენ უწოდებთ საკომანდო მწვერვალებს—ეს მრეწველობა თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის არის. მან ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებს და კერძოთ სასოფლო-მეურნეობას. ამ მრეწველობის, მსხვილი ინდუსტრიის განვითარების ნიადაგზე უნდა დაეყრდნოს საქმიანი და მტკიცე კავშირი, მუშების და გლეხების კავშირი და სასოფლო-მეურნეობის აღორძინება.

ჩვენ საქართველოში ჯერ კიდევ არ გვაქვს მრეწველობის ისეთი კერები, რომლებიც მიიზიდავდენ გლეხობას. ამით განვირჩევით ჩვენ რუსეთისა და უკრაინისაგან, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენში ძლიერია ასეთი მრეწველობის მოწყობის საჭიროება. და ეს პირველ ყოვლისა აიხსნება მით, რომ სხვაგვარივ ჩვენ არ შეგვიძლია აღმოვფხვრათ ის უმუშევრობა, რომელსაც იწვევს მოსახლეობის უაღრესად გამრავლება. გარდა ამისა, მხოლოდ ინდუსტრიის განვითარებას შეუძლია ჩაუნერგოს გლეხთა ფართო მასებს სოციალიზმის დამყარების და განმტკიცების აუცილებლობის შეგნება. ინდუსტრიალურ წარმოებებში თავმოყრილ მუშებს შეუძლიათ დააჩქარონ სოციალიზმის დამყარება და მისი განმტკიცება და ამ გზით გლეხობის საბოლოოდ ჩაბმა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. ამიტომ მრეწველობის განვითარებას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა, მუშათა ფენი ჩვენში სულ მცირეა, საჭიროა გავაძლიეროთ, მუშათა კლასის ხვედრი წონა. მაშინ, გლეხობა მუშას არასოდეს არ ჩამოსცილდება.

გარდა ამისა საჭიროა აღმოვფხვრათ ის უმუშევრობა, რომელსაც იწვევს მოსახლეობის ზრდა.

და ჩვენ ამჟამად შევეცდებით ჩვენი პროგრამა სწორედ ამ მხრივ განვავითაროთ, ვცდილობთ განვავითაროთ მრეწველობა, რომელსაც ყველაფერი ხელს უწყობს ჩვენში: სახელდობრ კი ნედლეულის. სათანადო სათბობი მასალის და სათანადო ბაზრის არსებობა.

საბჭოთა კავშირი ჩვენ ამაში გვეხმარება. საბჭოთა კავშირი და ჩვენი პარტია თავის მოვალეობად სთვლის მრეწველობის შექმნას იქ, სადაც ის აქამდე არ ყოფილა. ჩვენ უკვე შევუდექით ამ საქმეს.

მაგრამ იმ მცირე მრეწველობაში რომელიც ჩვენ გვაქვს, მიღწევები საგრძნობია. მე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ დავამტკიცო, როგორ შემცდარია ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაეცეს, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს არ ძალუძს მოაწყოს სახალხო მეურნეობა, აღადგინოს ქვეყნის საწარმოო ძალები და დააკმაყოფილოს გლეხობის მოთხოვნილება მრეწველობის პროდუქტებითო. ეს მაგალითი ჩვენი, საქართველოს მრეწველობისა, რომელსაც არ შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ჩვენს მეურნეობაში, მე მომყავს იმიტომ, რათა დავამტკიცო, რომ ჩვენ უაღრესად ცუდ პირობებშიც შეგვიძლია ძალიან დიდი შედეგების მიღწევა.

ამაზე ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი, ჩვენს პარტყრილობაზედაც მომიხდა მოხსენების გაკეთება მრეწველობის შესახებ; ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობას, გადავშალეთ ტეხნიკური მოწყობილობის სურათი, გამოვარკვიეთ ჩვენი მრეწველობის ნაყოფიერების ხვედრი წონა და დავსახეთ ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობის გეგმები.

ამიტომ ეხლა მე მხოლოდ იმას შევეხები, თუ როგორ შედეგებს მივაღწიეთ 5 წლის განმავლობაში სამრეწველო კერების არსებობის დროს, რომელნიც მოაწყვეს ცალკე მწარმოებლებმა მოგების მისაღებად. ქვეყნის სამეურნეო მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, ისეთ პირობებში, როცა ყველა მოწყობილობანი, რომელიც ამ მრეწველობაში იყო, თავისი კონსტრუქციით აღარ შეეფერება ჩვენს დროს და სავსებით გაცვეთილია თითქმის 75 პროცენტით.

ჩვენ პირველ ყოვლისა შევინარჩუნეთ კვალიფიციურ მუშების კადრი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია ასეთია: 1922—23 წლებში ომამდე არსებულ ფასებში ის უდრიდა 4.498.000, 1923—24 წ.— 4.823.000, 1924—25 წ.--8.980.000 მანეთს.

ჩვენს წარმოებებში მომუშავე მუშების რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა, საერთოდ ჩვენში საქართველოში, მუშების რიცხვი დაახლოვებით უდრის 100.000-ს რკინისგზელებთან ერთად, ესენი არიან ყველა დარგის მუშები, პროფკავშირების წევრები. მაგრამ ნაციონალიზაცია ქმნილ სახელმწიფო წარმოებებში მომუშავე მუშების რიცხვი 23 წელს უდრიდა 3.457-ს. 24 წელს—4.898-ს, გაიზარდა 27 პროცენტით. 25 წელს—5.363-ს, გაიზარდა 50 პროცენტით. ამაში არ შედიან საქართველოს სამკერვალო მრეწველობის მუშები 600 კაცის რაოდენობით.

ჩვენი მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს შავქვას. მე არ მოვიყვან ციფრებს, ვინაიდან ეს ციფრები ამ უკანასკნელ წლებში არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული. ჩვენ ვამჩნევთ შავი-ქვის ამოღების და ექსპორტის მუდმივ ზრდას, ხოლო ამჟამად შავიქვა ჩვენ გადავეცით კონცესიით ამერიკელ კაპიტალისტების ერთ ჯგუფს არიმანის მეთაურობით, რომელმაც მოაწყო სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს შავიქვა“. ამის გამო დიდი აყალ-მაყალი ასტეხეს ემიგრაციის პრესაში, ჟურნალ „ბრძოლა“-ში ამის შესახებ სხვადასხვა ვარიაციებით სწერენ პოლიტიკოსები, ეკონომისტები, ყოფილი მინისტრები და სხვა... აქვე უნდა ითქვას, რომ ყოფილი მინისტრი, რომელსაც უკისრია გამოანგარიშება, როგორც ეს მოსდის საქმიდან შორს მდგომ პირს, ურევს ციფრებს და ბრალს გვდებს ჩვენ იმაში, რომ ჩვენ უცხოელებს გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ საქართველოს

აზიის კარო! ფერად ბაღებით,
ლურჯი თაღებით ხარ დაფარული!
ხაროზს გმირული ბაირაღებით
შენი წარსული ლეგენდარული!

არ გამინებდა ბილწი მონობა,
მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები;
შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა:
თავისუფალი შუდამ დარჩები.

გათავდა ღამე დაუდგრომელი
ამოიხუნთქე ახლა მომკვებით...
დღეს შენი ერი, მარად მშრომელი,
აზიას უძღვის წითელ დროშებით

შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მაშ ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახავსებული.

მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტრებს ვუყოფით მარტო კბილებით.
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთის დამობილებით.

აზიის კარო! ელავს ფერებით
შენი გვირგვინი და სამკაული!!
მაშ გადიხადე ბედნიერებით
პირველ მაისის დღესასწაული!

პაოლო იაშვილი.

(1921 წ.).

ვეცით შავი-ქვა, ე. ი. ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე უფრო შემოსავლიანი ნაწილი. ამის გამო ჩვენ არა ერთხელ გამოვსულვართ სათანადო განმარტებებით. ეხლა მე შემიძლია ვსთქვა მხოლოდ ერთი რამ—პირველ ყოვლისა მენშევიკებს და ამ წერილის ავტორს კანდელაკს ყველაზე ნაკლები უფლება აქვთ ილაპარაკონ იმაზე, რომ, ჩვენ რაღაც გადავეცით უცხოელებს. იყო დრო, როცა მათ სურდათ მთელი საქართველო დაეგირავებიათ ინგლისელებისათვის 5 მილ გირ. სტერლინგათ, იყო დრო, როცა ისინი 1918 წელს, ბრესტის ზავის შემდეგ მზად იყვნენ მთელი საქართველოს ქონება გადაეცათ გერმანიის კაპიტალისათვის, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული; კონცესიას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი თავი 20 წლით შემოსავლის განსაზღვრული რაოდენობით.

ჩვენ ვიცით, რომ ამ 20 წლის განმავლობაში, რომ ავიღოთ უარესი შემთხვევაც—შავი-ქვის მრეწველობის სრული შეწყვეტა ჩვენ უნდა მივიღოთ განსაზღვრული თანხა. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეხლა მოთხოვნილება შავ-ქვაზე იზრდება, განსაკუთრებით ამერიკაში, რომელიც განსაკუთრებული სისწრაფით ანვითარებს ლითონის მრეწველობას (ამერიკა ამზადებს მთელს მსოფლიოში არსებულ ფოლადის 60 პროცენტს), ცხადი გახდება, რომ შემოსავალი შავი-ქვის საგრძნობლად გაიზრდება.

ცხადია, მოთხოვნილება შავ-ქვაზე გაიზრდება, როგორც ქიმიურ მრეწველობაში, ისე ლითონის მრეწველობაში. ამ მრეწველობის ზრდის მიხედვით გაიზრდება შავი-ქვის ამოღებაც და ექსპორტიც. რასაკვირველია, ამით ჩვენ არ ვზარალობთ, ვაძლევთ კონცესიონერს მის მიერ დახარჯულ თანხის პროცენტს, რომელიც მან უნდა მიიღოს. მაგრამ ჩვენ ვღებულობთ შემოსავლის ნაწილს ხარჯების გაუწევლად.

ჩვენი ქვა-ნახშირის მრეწველობას, როგორც იცით დიდი ბაზარი არ აქვს. ჩვენ დიდი რაოდენობით არ ვამუშავებთ ქვა-ნახშირს. 18 წელს ქვა-ნახშირის ამოღება უდრიდა 350 ათას ფუთს, 23 წელს ამოღება დაეცა 158 ათას ფუთამდე. 24 წელს უდრიდა 819 ათას ფუთს, ხოლო 25 წელს—881 ათასს. ეს, რაც შეეხება ტყვიბულის ნახშირს. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დიდძალი მადნები აფხაზეთში, მაგრამ მისი დამუშავება ჯერ არ ხდება. ამაზე გადადებულია განსაზღვრული თანხა. ნახშირის ამოღება თანდათან იზრდება. ნახშირის განსაზღვრული ნაწილით სარგებლობენ უცხოეთის გემები. ნაწილიც ხმარდება დასავლეთის რაიონის რკინისგზებს. შემდეგში ნახშირის განსაზღვრული რაოდენობა დასჭირდება ნავთის საწმენდ ქარხნებს ბათომში, რომელთაც აგებს „აზნეფტ“-ი.

როგორც ხედავთ, ერთგვარი განსაზღვრული პროდუქცია ამ მრეწველობიდან გვაქვს. არაფრისაგან ჩვენ რაღაცას ვქმნით.

თამბაქოს მრეწველობა. ფოთლოვანი თამბაქოს წარმოების ზრდასთან ერთად ჩვენში გაიზარდა ამ ნედლი მასალის გადამუშავება მოსაწევ თამბაქოდ, პაპიროსებად. თამბაქოს წარმოების ყოველთვიური პროდუქცია 1924 წ. ოკტომბერში უდრიდა 72 ათას სამრეწველო შრომის ერთეულს, ხოლო 1925 წ. მაისში—102 ათას სამრ. შრომ. ერთეულს, გაიზარდა 41,65 %-ით.

შემჩნეულია მნიშვნელოვანი ზრდა ტყავის წარმოებაშიც. 22—23 წ. წ. ტყავის წარმოებაში დამუშავებული იყო 17.283 ცალი დიდი ტყავი, 1923—24 წ.—23.706 ცალი.—24-25—35.285 ცალი. პატარა ტყავები: 23—24 წ. — 16.511 ცალი, 23—24 წ. წ. 6.679 ცალი 24—25 წ.—80.586 ცალი, დამზადებულია ევროპიული ფეხსაცმელები—4.220 წყვილი—22—23 წ. 23—24 წ.—6.280 წყვილი, 24—25 წ. 18.650 ცალი, აზიური ფეხსაცმელები—22—23 წ. 81.281—23—24 წ.—47.835, 24—25 წ. 88.975. მამასადამე ტყავის მრეწველობას ემჩნევა ზრდა ამ მრეწველობის სრულიად განადგურების შემდეგ.

ეხლა ავიღოთ ჩვენი მრეწველობის სხვა დარგები; ამჟამად ჩვენ ვაწყობთ სატყეო მრეწველობას. ჩვენში ბევრია ტყეები. ჩვენი ტყეები იმდენად დიდი ხნისაა, რომ მოგების მიღების მიზნით საჭიროა ამ ტყეების რაც შეიძლება ჩქარა დამუშავება; როგორც ქვეყნის შიგნით მოხმარებით, ისე კონცესიებით გაცემით და საზღვარ-გარეთ გატანით.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვსცდილობთ ქაღალდის ფაბრიკის აშენებას. შემდეგ ჩვენ ვაწყობთ გრეხილ დგამის ფაბრიკას, კასრის ფიცრების ქარხანას, საზერხავ ქარხანას და სხვ. ჩვენ უკვე დავაბანდეთ 2.000.000 მანეთამდე სატყეო მრეწველობაში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, დღემდის ჩვენში არ ყოფილა სატყეო მრეწველობა. ეხლა ჩვენ ვიწყებთ ამ საქმეს და ვფიქრობთ, რომ ამ ასპარეზზე მივაღწევთ წარმატებას.

შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამთო-ქიმიურ საქმეს. ჩვენში ბევრია მადანი, რომელიც დიდ პერსპეკტივებს უმზადებს ჩვენს სამთო-ქიმიურ მრეწველობას, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც გვექნება იაფი ელექტრონის ენერგია.

ელექტრონის ენერგია და მადნეულობა ხელს შეუწყობენ ჩვენი ქიმიურ მრეწველობის განვითარებას, რომელიც ჯერ-ჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება.

გარდა ამ მიღწევებისა ჩვენ ავაშენეთ მაუდის ფაბრიკა ქუთაისში, რომელიც ამზადებს 3.000 მეტრ მაუდს თვეში, ეხლა მიღებულია ზომები ამ ფაბრიკის გადასაკეთებლად იმ მიზნით, რათა წლიური პროდუქცია ავიყვანოთ 586.000 მეტრამდე. შენდება აგრეთვე აბრეშუმის სართავი ფაბრიკა ქ. ოზურგეთში. ამ ფაბრიკის მოწყობილობა შეკვეთილია საზღვარ-გარეთ, ჩვენ ველით მის მიღებას. დაახლოვებით მომავალ საზაფხულო სეზონისათვის ჩვენ მოვაწყობთ ამ ფაბრიკას.

სამრეწველო წარმოებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ბორჯომის კომბინატი, სადაც არსებობს შუშის ქარხანა ბოთლების დასამზადებლად, ნახშირმჟავას და მინერალურ წყლების ქარხანა.

ნახშირმჟავას ქარხანა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ამზადებდა 9.260 კილოს, უკანასკნელ წელს პროდუქცია ავიდა 53.520 კილომდე, გაიზარდა დაახლოვებით 6-ჯერ.

მინერალურ წყლების ქარხანამ მენშევიკების დროს 1920 წ. გაასაღა 583.900 ბოთლი ბორჯომის წყალი. 1924 წ. დამზადებული იყო 2.200.000 ბოთლი, ხოლო გასაღდა 1.850.000 ბოთლი, უკანასკნელ წელს რეალიზაცია კიდევ მეტია. გასაღდა სულ 8.200.000 ბოთლი, ე. ი. გადიდებულია 0,45 % ით.

ორიოდე სიტყვა ჩათახის ქარხანაზე. ამ ქარხნის მოწყობილობა პრიმიტიულია. გარდა ამისა იგი ძალიან შორს მდებარეობს და არა აქვს სატრანსპორტო საშუალებანი. იგი მუშაობს ხის ნახშირით, რასაც სხვაგან არ აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა მას აქვს ზოგიერთი შეკვეთები, დღემდის ეს ქარხანა საზარალოა, ჩვენ ვაძლევდით მას დოტაციას, მაგრამ თუჯის მოთხოვნილების გაზრდის გამო შეიძლება იგი ჩაყენებული იქნას ისეთ პირობებში, როდესაც იგი მოგვცემს მოგებას. ჯერ-ჯერობით ჩვენს სამრეწველო ბალანსში ეს ქარხანა იძლევა დეფიციტს. მთელი ის მრეწველობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არსებობს არა საბიუჯეტო ასიგნობებით, არა მემკვიდრეობით მიღებულ თანხებით, არამედ საკრედიტო ოპერაციებით. ბევრს ეგონა, რომ, როდესაც ჩვენ ვამყარებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენ არ უნდა გვქონებოდა ბანკები. ლაპარაკობდენ: „ჩვენ იმისათვის ვი არ ვიბრძოდით, რომ ბანკები გვქონებოდაო“, ჩვენ გვეგონა, რომ საბანკო სისტემა წარმოადგენს კაპიტალიზმის აღდგენას.

პრაღის „საბჭოთა“ კოლონიის ხელმძღვანელნი.
ი. გაბუნია (მეუღლით), ა. ზაბურზანია, ე. გვილავა და სხვ.

ეხლა კი აღმოჩნდა, რომ ჩვენი მრეწველობა მაინც საბანკო სისტემით არსებობს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ჩვენ 1921 წელს შემოვიღეთ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაციონალიზაცია ქმნილ საბრძანებლო მწვერვალოებზე დაყრდნობით, პროლეტარიატის ხელში ტრანსპორტის, სამთო-მადნო წარმოების, ქარხნების და ფაბრიკების, მიწების, ტყეების, ფულის სისტემის და ბანკების გადასვლით,—გამოყენებული იქნას მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობანი ქვეყნის დოვლათის გასადიდებლად.

ამ სისტემაში ბანკებს უჭირავთ თვალსაჩინო ადგილი დღეს კი პირველი ადგილი, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტით სუბსიდიები არ ეძლევა მრეწველობას და უკანასკნელი ეყრდნობა შინაურ კრედიტების პრინციპებს. ჩვენ ამჟამად უშვებთ სამეურნეო აღდგენის სესხებს—საგლეხო ოქროს და სხ. სესხებს. ეს ყველაფერი საკრედიტო ოპერაციებია. რა თქმა უნდა, არც ერთი სახელმწიფო მსოფლიოში არ ცხოვრობს საბიუჯეტო საშუალებებით; ამერიკა იმითაა სწორეთ მდიდარი და იმიტომ ყიდულობს ევროპას, რომ მას აქვს დიდი საკრედიტო კაპიტალი თავის ქვეყანაში და ეს კაპიტალი გააქვს საზღვარ გარეთ. მით უმეტეს, რომ ამერიკის ხელშია მთელი მსოფლიოს ოქროს მარაგის სამი მეოთხედი. იგი ხელს უწყობს საბანკო კრედიტებს, აგრეთვე კრედიტებს აძლევს სხვა ბანკებს, იპყრობს მრეწველობას და სხვ... საბჭოთა მეურნეობაშიაც ბანკების საკრედიტო სისტემამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი, ჯერ-ჯერობით საქართველოში არსებობს სახელმწიფო ბანკი განყოფილებებით ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, სასოფლო-სამეურნეო ბანკი განყოფილებებით ქუთაისში, ბათომში, სიღნაღში, კოოპერატიული ბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი, სავაჭრო ბანკი, სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, კომუნალური ბანკი, სასოფლო-სამეურნეო ბანკი აფხაზეთში, ელექტრო-ბანკი, ქალაქის ლომბარდი და სხვ. ყველა ესენი არიან საკრედიტო დაწესებულებები.

1925 წ. თებერვლისათვის მიღებულ ცნობების თანახმად ამ ბანკებმა ჩვენს მრეწველობას და ვაჭრობას მისცეს კრედიტები 18.457.000 მანეთის რაოდენობით. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ ეს არ არის საბიუჯეტო თ[illegible]

ამ თანხიდან—18.457.000 მანეთიდან სახელმწიფო მრეწველობას მიეცა კრედიტი 4.649.000 მანეთი, კოოპერაციას—5.923.000 მანეთი.

კერძო კლიენტებს მიეცათ 939.000 მანეთი. კომუნალურ წარმოებებს და საბინაო აღმშენებლობას—1.484.000 მან.

აი როგორ მკვიდრდება ჩვენში საკრედიტო სისტემა. და როგორ როლს თამაშობს იგი...

ჩვენს შინა-მრეწველობას აქვს საქართველოში საფუძველი განვითარებისათვის. მთელი რიგი დარგებისა ვითარდება შინამრეწველობის ხაზზე. სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით შინამრეწველობა სათანადოთ არ არის მოწყობილი.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დროს რეგის-

ნიკოლოზ მიწიშვილი

თებერვალი

ეპოპეია.

ნაწილი პირველი.*

V

მალზე მოძრაობდა ქუჩა. ცანცახებდა სიჩქარეში. მიზეზი იყო მრავალი. და ერთი უმთავრესი: მიტინგი (მოედანი «აზიზიე») იზიდავდა ყველას. დანიშნულ დროს მთელი საათი აკლდა. მაინც იდგა ხალხი მოედანზე. შეიძლებოდა ნელა წასვლა—ხალხი კი მიეჩქარებოდა. ამ დღეს შეუყვარდა ყველას ერთი მეორე. არ სცილდებოდნენ ერთი მეორეს. ყველა ერთად დადიოდა. ენატრებოდათ შეგროვებულათ ყოფნა.

შემოხვდა ჯგუფი სიმონს. გაყვა უკან მას. გზაც იქით ქონდა. დაუგდო ყური...

— ხო და, გავიდენ თურმე სოფლად, რომ გაეგოთ ხალხის სულიერი განწყობილება.—«რა შეგვეხება ჩვენაო»,—სთქვეს თურმე გლეხებმა. ბოლშევიკი მოერია მენშევიკს და ანასუნ მის საქმესო»... ამბობდა ერთი.

— ხალხი, კაცო, თხაა,—სთქვა მეორემ.

— თხა კი არა ჭკუიანია. თხები ჩვენ ვართ, რომ წამოვცვინდით...

გადუხვია სიმონმა სასტუმროსკენ. ჩაუჯდა თავში სიტყვა—ანასუნ.

— რა არის—ანასუნ. ანა—სუნ... ცუდი სუნი კი უდის ამ სიტყვას. ანასუნ მის საქმეს... გაიცინა მან და შევიდა სასტუმროში. ამხანაგები სადილობდენ.

— რა გიჭირს, ჩვენ ჩამოვტყავეთ ქალაქი საგზალისთვის, შენ კი დადიხარ, დასეირნობ. ხომ იცი, ძმაო, ეხლა კომუნიზმია. ბატონყმობა დაემხო,—შესცინეს მას ამხანაგებმა.

— მეც მოვიტანე.—სთქვა სიმონმა. მიაგდო მაგიდაზე—ორი გირვანქა ხმელი ქლიავი, სარდინკა და თხელი მჭადი.

— სხვანაირდება ქვეყანა. წითელი საქართველო. საბჭოები. როგორ მოეწონთ.

— საქართველო ხომ არის და წითელი იყოს თუ გინდ ყვითელი სულ ერთია.—

— აღარაა, ჩემო. ძმაო, საქართველო, თუ არა კარგი შენ,—მოიოხრა მეორემ და ჩამოასხა ღვინო პატარა ტიკიდან. აღარაა თუ დამიჯერებ და...

— სანამ ამ ღვინოს სვამ, სანამ სული გვიდგია და ქართულად ვლაპარაკობთ—მანამდი საქართველოცაა. ესაა საქართველო და სხვა გვარი ის არასოდეს არ ყოფილა. აი მაგალითად, რომ მოხდეს მიწის ძვრა, ხელმეორეთ ჩავარდეს გორი, გავარდეს ფსკერი ტფილისს—ეს სხვა საქმეა. ამისი მართლა მეშინია. ისე რა გვიჭირს...

— რუსები რომ მოვიდენ!...

უცბად შესწყდა ლაპარაკი. სხვა და სხვა ფიქრი და აზრი იყო თვითეულის გულში ამის საპასუხოდ. მაგრამ ყველამ არჩია-შეენახა თავის აზრი საკუთრად. სიმონი უყურებდა ამ კამათს, რომელიც უცბად შესწყდა. წამოეშველა—სთქვა:

— ა, ბატონო, ა. წავიდეთ და ვნახოთ. რას იტყვიან ეს რუსები. ეხლა მიტინგი იწყება.

აალაგეს მაგიდა: მეზვიეს მაგიდაზე გადაფენილი გაზეთები—«ერთობა» და «ესო ბატუმა». გამოიტანეს ქუჩაში—გადააგდეს.

მოედანი სავსე იყო. სამიტინგოთ ჩამდგარი იყო მრავალი, სალაპარაკოთ კი—სამი სული: მაღალი ხმელი ქალი, გრძელ წვერა ქართველი მოხუცი და თოფიანი რუსი. ქროდა ქარი. მოხუცი ეხვეოდა საკუთარ წვერებში (თვითონ პატარა იყო. მოკლე. წვერები დიდი) ქალი და ჯარისკაცი კი ეხვეოდენ წითელ ბაირაღში.

ლაპარაკობდენ ქართულად და რუსულად. ტკბილი იყო და შემარიგებელი საუბარი ძმობა-ერთობაზე. თავისუფლებაზე. პროლეტარიატზე და იდეალებზე. ეტყობოდა-«ამჟენმა» ლაპარაკი მენშევიკებზე უკეთ იციან, მაგრამ უნდა სთქვას კაცმა სიმართლე, კარგად იცოდენ ლაპარაკი მენშევიკებმაც.

ბევრს—მოხუცი კაცის კაკანა ლაპარაკი არ მოსწონდა, სხვა დროს შეიძლება მოეწონებოდა ვინმეს ეს ლაპარაკი—ქართველ ერზე, მაკედონელ ალექსანდრეზე და ბუცეფალზე, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ამ წვერიან კაცს გვერდში თოფიანი რუსი უდგა, რომელიც აგრეთვე ლაპარაკობდა. თოფიან რუსს თოფი ქონდა ხელში და ეს აფუჭებდა ბევრი კაცის საქმეს. ადამიანი ყოველთვის ორში ირჩევს ერთს. მოქალაქემ აირჩია რუსის ჯარის კაცი, ვინაიდან ის საქმის კაცია (თოფი მაგას კიდია და ზარბაზანი.) ვინაიდან ძალა უთუოდ მის ხელშია. ზურგი აქცია მოქალაქემ ბებერ კაცს. თუმცა გულდასმით არც რუსის ლაპარაკი მოუსმენია მაინც და მაინც. ან და რათ აინტერესებდა მოქალაქეს წვრილმანები უმთავრესი იყო საქმიანობა და ეს იყო საინტერესო სწორეთ.—ეს უმთავრესი კი მან უკვე იცოდა. უმთავრესი იყო—

— გადავრჩი...

მოაწია საღამომ. ცის კიდეზე მოსჩანდა ცალთვალა მზე. ისვენებოდა წითელი მზე წითელის თვალით. აჭარის მთებზე ჩამოჯდა ბანჯღვლიანი ღამე მრისხანეთ გადახედა მზეს. თითქოს—გაიპარე აქედან ჩქარაო. მზემ ჩაყვინთა ზღვაში. მოვიდა მსუბუქი ღამე. და ღამეს მიეგება ქალაქი (მოქალაქე) ასეთის ფიქრით:

— გავიდა მთელი დღე (მთელი დღე) ბოლშევიკების ხელში. ფეხზე ვდგავარ მთელი დღე. ვიყავი რევკომში. ვნახე ჯარი. ვნახე მიტინგი. ვნახე ყველაფერი და მაინც ცოცხალი ვარ... ხომ ცოცხალი. ვარ... ვარ ცოცხალი... ვარ. ვარ, ცოცხალი ვარ...

მიტინგიდან ეს გრძნობა გადაიფანტა ქალაქში. დაღამებისას მოქალაქეს უკვე ქონდა გეგმა და გამოწყობილი შეხედულება საქმეზე. მოქალაქემ უკვე იცოდა ბევრი რამ. ცოტა კი არა—ბევრი რამ. ჯერჯერობით არ ამხელდა რამეს. გამოურკვევლად კი იტყოდა:

— თუ კაცი ჭკუით იქნება... მოჟნო.

უკანასკნელ სიტყვას მოქალაქე იტყოდა რუსულად. იტყოდა ისეთის ტონით, ისეთი მიმიკური გრეხვით და ხელის გაშლით, რომ ამ სიტყვის შემდეგ იგულისხმებოდა ყველაფერი.

— შეიძლებაო... იტყოდა მხოლოდ. და რა შეიძლებოდა—იცოდა მხოლოდ მან, მოქალაქემ, რომელმაც გაატარა მთელი დღე ბოლშევიკების ხელში და მაინც ცოცხალი დარჩა. შეიძლებოდა ცხოვრება. შეიძლება... მუშაობა. შეიძლება... იქნება მოქალაქე ამ სიტყვას იქით გულისხმობდა: შეიძლება... საქმეების გამოჭახრაკებაც კიო.

ვინ იცის. ვინ ჩაუძვრება ადამიანს გულში.

ბევრი რამე იგულისხმებოდა ამ სიტყვას—«მოჟნო»-ს იქით.

ასე დაღამდა ეს დღე. და ამ დღემ სთქვა:

— მოჟნო.

VI

მეორე დღეს შუადღით ტფილისისკენ მიდიოდა საგანგებო მატარებელი.

მატარებელი დაინიშნა, რომ წაეყვანა ტფილისში—
გამოქცეული მოსამსახურეები.
ჩვეულებრივი მოქალაქენი (ლტოლვილნი).
და უჩვეული და არაჩვეულებრივი ხალხი.

დილით უკვე გაზეთები გამოვიდა ბათომში ახალი მთავრობისა. გაზეთი ამშვიდებდა ხალხს—მოუწოდებდა—შემოერთდით ყველანი ჩვენს გარშემო. დაიცავით წესიერება და სიმშვიდე. ნუ შეშინდებით—ჩვენ ხალხი ვართ, რაშია საქმეო.

ეწერა გაზეთში აგრეთვე—ტყუილია ჭორები, თითქო ჩვენ ვატყავებთ მოქალაქეს. თითქოს ვხდით მას ტანსაცმელს, კარგი ჩაცმა-დახურვა ჩვენც გვიყვარს, ამის წინააღმდეგი ახალი მთავრობა არააო. ჩაიცვით, დაიხურეთ, ნუ შეშინდებითო.

ეს ამბავი ბევრს ესიამოვნა, რადგანაც ბევრმა გაიხადა რაც კარგი რამ ეცვა. ძველებში დადიოდა ყველანი, ამ განცხადებამ კი ოდნავ დაამშვიდა მოქალაქე, მაგრამ ოქროს საათი მაინც შენახული ქონდათ საიმედო ადგილას. ვინ იცის რა მოხდება. ერთიც ვნახოთ და...

ოქროს მეწკვიან საათზე ყაითანი მოაბა. შავი ყაითანიც კარგია მეწკვათ, მშვენივრად ამაგრებს საათს. ხო, და შემდეგ—ვნახოთ. იქნება საათმაც მიიღოს ეშხი. ჯერ-ჯერობით კი იაროს საათმა პროლეტარულად. მოითმინოს. დი-

---

*) იხ, „აზ. საქ.“ № 20, 21, 22, 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ორიენტაცია სინამდვილეში

ტრაციამი გატარებულ იქმნა 100 ათასი სული, 40 ათასი კომლი შინა-მრეწველობაში ჩაბმული. ამ მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენს 7 მილ. მანეთს.

ეხლა ვღებულობთ ზომებს იმისთვის, რომ კოოპერაციულად გავაერთიანოთ შინა-მრეწველნი, სახელმწიფო დახმარება გაუწიოთ მათ და სხვ... კარგი ორგანიზაციისა და საქმისადმი კულტურულ დამოკიდებულების პირობებში ჩვენი შინა-მრეწველობა ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს მოსახლეობისათვის საქონლის მიწოდების საქმეში.

გადასახლების

საქმე საქართველოში

საქართველოში არის 150.000 გლეხთა მეურნეობა, რომელთაც ერთ დესეტინაზე ნაკლები სახნავი მიწები და სათიბები აქვთ; რაც შეეხება ბაღებს და ძვირფასს კულტურებს, მათი სივრცე ამ მეურნეობებში დესეტინის ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლებია.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალქალაქის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრების მცირე მიწებიან მეურნეებს, რომლებსაც შეუძლიათ მიწები მიიღონ ამ მაზრებში არსებულ მიწის ფონდიდან, გორის მაზრის 2.000 კომლს, რომლებსაც შეუძლიათ მიწების მიღება ტირიფონის ველზე ამ უკანასკნელის მორწყვის შემდეგ და ბოლოს 351.000 კომლს დასავლეთ საქართველოში, რომლებსაც შეუძლიათ მიწების მიღება ფოთის ჭაობების ამოშრობის შემდეგ, მაშინ საქართველოს ზედმეტი მოსახლეობა განისაზღვრება 88.000 კომლით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რაიონებიდან ნახევარს შეუძლია გარეშე სამუშაო იშოვოს, მაშინ ჩვენში დარჩება 45.000 კომლი, რომლებსაც არ აქვთ არც მიწა, არც არავითარი შემოსავალი და რომელთა დაკმაყოფილება მიწებით ადგილობრივ შეუძლებელია.

ამ რიცხვს უნდა დაუმატოთ ის პირები, რომლებიც სცხოვრობენ სრულიად გამოუსადეგარ მიწებზე, და აგრეთვე იმ ადგილებში მცხოვრები პირები, რომელთა განთავისუფლება აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნით. მაშინ სხვა ადგილებში გადასასახლებელ ზედმეტი მოსახლეობის რიცხვი გამოიხატება 50.000 კომლში.

ამჟამად საქართველოში სრულებით არ არის მიწის ფონდი, სადაც შეიძლებოდა ზედმეტი მოსახლეობის გადასახლება, გარდა მცირე სივრცისა 1600 დესეტინამდე (ყარაიაზში), რომელზედაც შეიძლება დასახლებული იქნეს მხოლოდ 400 კომლი.

მაგრამ არის საშუალება მიღებული იქნეს მიწის ფონდი ორი გზით: 1) მიწების მელიორაციით და 2) აგრარული რეფორმის დამთავრებით.

მელიორაცია საქართველოს სოფლის მეურნეობას მისცემს 200.000 დეს. მიწას, მაგრამ ამ მიწების უმეტესობა მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, ასე რომ ის მოუნდება ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გადასახლებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ 43.000 დესეტინა, რომელიც დააკმაყოფილებს 10.000 კომლს.

1925—26 წ. გადასახლებული იქნება 600 მეურნეობა; 1926-27 წ.—2.100 მეურნეობა; 1928—29 წ.—2.500; 19 9—30 წ.—2.500. სულ ხუთი წლის განმავლობაში გადასახლებული იქნება 10.000 მეურნეობა.

ამ 10.000 კომლის გადასახლება დაჯდება დაახლოებით 11 მილიონი მანეთი.

ღზანს ნებივრობდა ბურჟუაზიულ მეწკვზე ჩამოკიდებული...

დაბარგული მიეშურებოდა ყველა სადგურისაკენ.

სადგურის ახლო ფორტებზე დილიდან ბრძოლა იყო. იბრძოდა ქართველი ჯარი.

ფორტებში იჯდა თათარი, არ იქნა მისი გამოდევნა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდევაც ქალაქში—ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილებიც. ჩაჯდენ სახლებში. გამოკიდეს ანგორის მთვარე და გამაგრდენ არ გამოდიოდენ გარეთ. სახლის წინ კი იდგა ხიშტიანი წითელი რუსი მაზრის ქუდით. იდგა და არ იცვლიდა ფეხს. არ უშვებდა თათარს გარეთ. შიგნი ვერ შედიოდა რუსი—სახლი ყუმბარებით იყო სავსე. ამიტომ იჯდა თათარი ალყა შემორტყმული, სანამ სურსათი არ გამოელია. სამაგიეროდ თათარი იბრძოდა ფორტებზე.

თათრის კუნძულები იდგა ქალაქში ერთი კვირა.

მაგრამ ფორტებზე მოსპეს თათარი ერთ დღეს.

ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამორეკა სანგრებიდან მტერი. ამოყარა გააქცია.

შუადღისას ბრძოლა შესწყდა.

სადგურზე ქშინავდა მატარებელი. ხალხი ემატებოდა სადგურს თანდათან.

ემზადებოდა წასასვლელად. ახალის იმედით. ახალის შიშით. და ახალის მღელვარებით. —ვინ იცის რა შეხვდება კაცს გზაში.

მივდივართ კი—მივდივართ. მაგრამ ერთიც ვნახოთ: დაგვწყვიტონ გზაში ბოლშევიკებმა. ან თბილისში დაგვემართოს ფათერაკი.

ასეთი ფიქრი აწუხებდა ყველას. და იმედი იყო მხოლოდ ერთი—ყველა მიდის. მეც ვიქნები ყველასთან ერთად. ბათომს გადურჩი—წინ ამხელა გზაა. შემდეგ—ტფილისში. იქ ხომ არის და არის.

ბედზე ლოცულობდა მოქალაქე—თბილისისათვის გამზადილი. ამ ბედს ჩააბარებდა საკუთარ თავს.

იყო ლაპარაკი:

—აფეთქებულია ხიდები. ჩავრჩებით გზაში. საშიშია. დავიღუპებით.

დაიძრა მატარებელი. წააგივლა სადგურს და წაიღო ტვირთი აღმოსავლეთისკენ.

ყველამ გაიკრა ხელი ჯიბეზე—

ხომ თავის ალაგას არის ბილეთი. ხომ არ დაკარგულა ვარსკლავიანი მოწმობა. (არ დაკარგულა. რიგზეა ყველაფერი).

ფიქრში. (გუნებაში) გადიწერა პირჯვარი ყველამ. ამ ნიშნის საქვეყნოდ გამოსახვა სირცხვილი იყო კულტურული კაცისთვის. ერიდებოდათ. გულში კი ყველამ ახსენა ღმერთი: ეხლა იწყება რაც იწყება. გადამარჩინე ღმერთო, მეუფეო.

(დასრულდება).

ქართველ მუსულმანთა

საზოგადოება

1924 წელს საქართველოში სეიფოლა იოსელიანის სპარსეთიდან ჩამოსვლის დროს, დაიბადა ქართველ მუსულმანთა კულტურული დახმარების საზოგადოების დაარსების აზრი.

1924 წ. 9 მარტს საერთო კრებაზე, არჩეულ იქნა გამგეობა და პრეზიდიუმი ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

საზოგადოება მიზნად ისახავს ქართველ მუსლიმანთა ისტორიის თანამედროვე მდგომარეობის მეცნიერულად შესწავლას და აგრეთვე ქართველ მუსლიმანებისათვის კულტურული და ნივთიერი დახმარების აღმოჩენას, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარგარეთ—სპარსეთსა და ოსმალეთში.

აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ საზოგადოება აწყობს და აგზავნის ქართველ მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში სამეცნიერო კომისიებს მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. ამუქებს პრესაში მათ თანამედროვე მდგომარეობას და ისტორიულ წარსულს, აარსებს სპეციალურ ორგანოს მუსულმან ქართველების კულტურულ საჭიროებათა შესასწავლად, ნიშნავს პრემიებს საუკეთესო თხზულებებისათვის, რომელიც გაარკვევს ქართველ-მუსლიმანთა ისტორიულ და თანამედროვე ცხოვრებას, ზრუნავს მათ შორის სწავლა-განათლებისა და საერთოდ კულტურის მეტარაზე, უწევს ღარიბებს ერთდროულ და მუდმივ ნივთიერ დახმარებას, ნიშნავს სტიპენდიებს მაჰმადიან-ქართველ ნიჭიერ ბავშთათვის. აწყობს საექიმო და იურიდიულ დახმარების ორგანიზაციებს, ხელს უწყობს ლტოლვილთა და აყრილების დაბინავებას და დასახლებას და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებას საზოგადოება უკვე შეუდგა და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა: საზოგადოებამ სპარსეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი იქაურ მდგომარეობის გასაცნობად.

27 იანვარს ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შემდგარ საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის მოსმენილ იქნა სპარსეთიდან ახლახან დაბრუნებული წარმომადგენლის მოხსენება.

ფერეიდანში სამეცნიერო გამოკვლევებზე მუშაობს ამ ჟამად ნიკო მარის შვილი.

ფერეიდანში არსებულ რუსეთ-სპარსეთის ბანკის თანამშრომელმა მოქ. ჭელიძემ გამოგზავნა მდიდარი მასალები ფერეიდანელ ქართველთა შესახებ.

ქრონიკა

გემი ბათუმში

მორიგი გემი (ფრიჟი) ს-ბა «პაკე»-სი მიდის ბათუმისაკენ მარსელიდან 15 მაისს.

საკონსულოში

საბჭოთა კავშირის საკონსულო პარიზში ღია არის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 10—1 საათამდის.

შაბათს და ორშაბათს მიღება არ არის.

საბჭოთა არჩევნები

მთელ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის გამოკლებით არჩეულია—17 292 წევრი, აქედგან 15.292 მამ., 1.363 ქალი, 2 623 კომ., 1.146 კანდ., 1.098 ახკომკავ. 12.425 უპარტიო.

საკავშირო სესია

მოსკოვში დასრულდა საკავშირო ცაკის სესია.

სესიის დროს განსაკუთრებული კამათი გამოიწვია უკრაინის ნაციონალიზაციამ და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი საბიუჯეტო უფლებების საკითხმა.

კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის, კერძოდ ქართველ დელეგატებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს ნაციონალიზაციის და ადგილობრივი ბიუჯეტის გაფართოვების პოლიტიკას.

მონარხისტების ყრილობა

სრული სკანდალით გათავდა პარიზის ყრილობა, რომელიც მოაწყვეს რუსის მონარხისტებმა, რომ თავადი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი აერჩიათ თავიანთ ბელადათ.

ბელადმა უარი სთქვა. ალბათ საფრანგეთის ტერიტორიაზე ასეთი ცერემონიები უხერხული სდება.

ამ ყრილობაზე მონაწილეობდა ორი დელეგატი ქართული გვარით: ა. გ. ხუნწარია და გენერალი ანდღულაძე.

ტრანზიტი ბათუმით

გაზეთ «ტან»-ის ცნობით შედგა იტალია-საბჭოთა შეერთებული საზოგადოება, რომელსაც უფლება ეძლევა სპარსეთისაკენ საქონლის ტრანზიტი აწარმოოს ბათუმ-ბაქოს გზით, რომელიც ბოლო დრომდის აკრძალული იყო საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

ფასადების გაქართულება

თბილისის აღმასკომის დადგენილებით ქალაქში მნიშვნელოვანი შენობების ფასადები გადაკეთებულ უნდა იქნას ქართულ სტილზე.

ფორდი

ფორდის წარმომადგენლები გაემგზავრენ თბილისის სამეურნეო გამოფენაზე.

ინგლისური სკოლა

ჭიათურაში გაიხსნა ინგლისური ენის სკოლა.

მიწათმოქმედება

დასრულდა საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში საქართველოს სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. გეგეჭკორმა.

წერილი

რედაქციის მიმართ

ამ წერილს გწერთ გიორგი მაზნიაშვილის რჩევით. გთხოვთ მშობლები ტრიფონ ივანესძე გიორგობიანის. ეს 5 წელიწადი არის, რაც ჩვენი შვილის ამბავი არ ვიცით, უანგარიშო ზომები მივიღეთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ. დაგვრჩა ეს ერთი საშუალება და იმედი გვაქვს, რომ ამ თხოვნას უყურადღებოთ არ დასტოვებთ. გთხოვთ რომ გამოუშვათ განცხადება გაზ. «ახალ საქართველოში», ჩვენი შვილის შესახებ, შეიძლება ვინმემ რაიმე იცოდეს და გვაცნობოს ამ მისამართით:

ქ. თბილისი, ურიცკის ქ. (ყოფილ ლაზარევის ქ.) № 74 მე-8 ეზანი.

ივანე მარკოზის-ძე გიორგობიანისას. ჩვენი შვილი ზაპასის ოფიცერი იყო, უკანასკნელი ომის კვირას გაწვეულ იქნა ჯარში, ტაბახმელას ბრძოლებშიც იყო. ბათუმში ჯარი რომ ჩავიდა, იქ რამდენიმე პირს ენახათ და მოგვიტანეს ამბავი, რომ თქვენი შვილი უცხოეთში აპირებდა წასვლასაო. იმის შემდეგ ჩვენ აღარაფერი გაგვიგია.

ვრჩებით პატივის ცემით დედა და მამა გიორგობიანის.

უკრაინული გაზეთი

პარიზში გამოვიდა საბჭოთა ორიენტაციის უკრაინული გაზეთი «украінські вісти» ი. ბარშჩაკის რედაქტორობით.

მილიციის იუბილე

საბჭოთა საქართველოს მილიციის არსებობის 5 წლის თავზე დაჯილდოებულ იქნენ: თბილისის მილიციის უფროსი ს. ხმალაძე და აგრეთვე საადმინისტრაციო უწყების ხელმძღვანელნი შ. კიღურაძე, გრ. მკურნალი და სხვ.

ახალი ოპერა

თბილისში დაიდგა მ. ბალანჩივაძის ოპერა «თამარ ცბიერი» (აკაკი წერეთლის ლიბრეტო). ეს მეექვსე ქართული ოპერაა, რომელიც სახელმწიფო თეატრმა დადგა აქამდის.

დოლი

თბილისში 18 აპრილს დიდუბის მოედანზე გაიხსნა დოლის საგაზაფხულო სეზონი.

ქართული წიგნის იუბილე

ქართული წიგნის დაბეჭდვის სამასიწლისთავი შესრულდება 1929 წ. დაიწყო მზადება ამ დღესასწაულისათვის. ახლო მომავალში ისტორიკოსი კარიჭაშვილი ლექციას წაიკითხავს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე.

განზრახულია აგრეთვე წიგნების გამოფენის მოწყობა.

ტრაქტორები

საქართველოში ამ ჟამათ 44 ტრაქტორი მუშაობს.

კერძო ვაჭრობის სექცია

თბილისის კერძო ვაჭრობის სექციის პრეზიდიუმი შედგება შემდეგ პირთაგან:პართენ გოთუა,წვერავა, მიქელაძე,[illegible]ნოვი და სიმონიანი.

ალმანახი «ქარავანი»

თბილისში გამოცხადებულია ხელისმოწერა სალიტერატურო ალმანახზე, სოლელის რედაქტორობით, რომლის თანამშრომლებად მოწვეულნი არიან:

აბულაძე ი., აზიანი ნ., ალესილი, ბარნოვ ვ., დევდარიანი ს., ეკალაძე ია., ელიაშვილი ი. თავდგირიძე ნ., ირეთელი პ., კასრაძე დ., ლორთქიფანიძე ი., ლორთქიფანიძე ნ., მაყაშვილი კ., მირიანაშვილი პ., მოსეშვილი ილ., ლეისტი არტ., ნარკინ, ნიკოლაძე ნიკ., ნინიძე კირ., ონიაშვილი დ., საყვარელიძე პ., სულიაშვილი დავ., ქიაჩელი ლ., შიუკაშვილი ნ., ჭოჭინაძე კონსტ.

საქართველოს ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი, რუსთაველის პროსპეკტი № 22. ტელეფონი 6—42, 8—89.

იყიდება:

ნიკო ფიროსმანიშვილი

მონოგრაფია.

ტექსტი: გრ. რობაქიძის, ტ. ტაბიძის, კ. ზდანევიჩის, გ. ქიქოძის, კ. ჩერნიავსკის. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. 53 სურათით, მათ შორის 5 ფერადი. 206 გვ. ფასი 15 მანეთი.

აკაკი

ტომი პირველი. პროზა.

რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ს. აბაშელის და ს. გორგაძის რედაქციით. 345 გვერდი. ფასი. 2—50.

პ. ინგოროყვა

«რუსთაველიანა».

გამოვა მოკლე ხანში:

აკაკი—ტ. 2, 3, 4. ვაჟა ფშაველა 8 ტომი, გრიგოლ ორბელიანი 1 ტ., ალ. ჭავჭავაძე 1 ტ. რაფ. ერისთავი 1 ტ. ნ. ლომაური 1 ტ., ირ. ევდოშვილი 1 ტ, დან. ჭონქაძე «სურამის ციხე». ალ. არსენიშვილი — «ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია», გ. ქიქოძე—«ქართული კულტურის ისტორია», გრ. გიორგაძე—«ფეოდალიზმი საქართველოში»; ქრ. რაჭველი—«ფეოდალიზმი საქართველოში». «კაპიტალი» ტ. 1-ლი დავით ონიაშვილის. თარგმანი.

Le Gérant : L. BAR.

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.650